საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/22

08 02 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უახლოეს რიგგარეშე სესიაზე წარდგენის მიზნით გეგზავნებათ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
2. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნა;
3. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 7 თებერვლის №11 სხდომის ოქმის ამონაწერი.

დანართი: 5- ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

09-02-0719
08 02 2017
5 ფურცელი

09-02-111410
1 5
08 02 2017

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/22

08 02 2017 წ.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2017 წლის 8 თებერვლის სხდომაზე, განიხილა უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების საკითხი.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების გათვალისწინებით კომისიამ მოამზადა და უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენად მხარი დაუჭირა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკის დადგენილების პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელზეც მომხსენებლად დაინიშნა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 09.12.2016) III პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„III. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია:
1. ვლადიმერ მგალობლიშვილი – ფრაქცია „ქართული ოცნება“
2. დავით თედორაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება“
3. მერაბ კარანაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
4. ცოტნე ანანიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“
5. გიორგი ცინცქილაძე – დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭოს წევრი“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია ლევან ვარშალომიძისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების პირადი განცხადების საფუძველზე შეწყვეტის საკითხი.

ბ) დადგენილების პროექტის არსი

ლევან ვარშალომიძისათვის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან ერთად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მას უწყდება უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის წევრობა.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილების იმ პუნქტის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი დადგენილების პროექტით შედის ცვლილება

III. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია:

1. ვლადიმერ მგალობლიშვილი – ფრაქცია „ქართული ოცნება“
2. დავით თედორაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება“
3. მერაბ კარანაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
4. ცოტნე ანანიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“
5. ლევან ვარშალომიძე – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
6. გიორგი ცინცქილაძე – დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭოს წევრი

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 8 თებერვლის №11 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტია ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების შესახებ.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს კომისიის დასკვნა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
2. დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია